



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, გულუას ქა, ტელ. 72 72 60

ეკოლოგიური. ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 27

23 02 2009 წ.

1. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგური
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი –
სს „ზაჰესი“, ქ. თბილისი, ზაჰესი, კასკადის ქ. №1
3. განხორციელების ადგილი – ჩხოროწყუ, მდ. ხობისწყალი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 23.01.09
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

სს „ზაჰესი“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც მომზადებულია შპს „ეკოლცენტრი“-ს მიერ.

სს „ზაჰესი“-ს ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ხობისწყალზე.

ჩხოროწყუქვის მშენებლობა დასრულდა და ჰიდროელექტროსადგური ექსპლუატაციაში გადაეცა 1967 წელს.

ჰიდროკანძის ძირითადი ნაგებობების შემადგენლობაში შედის ბეტონის წყალსაშვიანი კაშხალი ორმალიანი გამრეცხი რაბით მდინარე ხობისწყალზე, გვერდითი წყალმიმღები ფსკერული გამრეცხით, სადერივაციო არხი, უდაწნეო სადერივაციო გვირაბი, სადაწნეო აუზი უქმი წყალსაგდებით, სადაწნეო მილსადენების ორი ძაფი, ჰესის შენობა და გამყვანი არხი.

სადგური მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, ბუნებრივ მოდინებაზე, მდინარის ჩამონადენის დარეგულირების გარეშე. დადგმული სიმძლავრეა 6 მგვტ, ელექტროენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 25 მლნ კვტ.ს. გამომუშავებული ელექტროენერჯია 35კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებით მიეწოდება საქართველოს გაერთიანებულ ენერჯოსისტემას.

სადგური დერივაციული ტიპისაა. წყლის შეტბორვა განხორციელებულია გრავიტაციული ტიპის დაბალზღურბლიანი კაშხალით, ორი მარეგულირებელი ფარით, რომლის მარცხენა ნაპირზე განლაგებულია გვერდითი წყალმიმღები. წყალმიმღების საშუალებით წყალი მიეწოდება სადერივაციო არხს, რომელიც შესრულებულია ღია მართკუთხა, ტრაპეციული და დახურული უდაწნეო გვირაბის უბნებით. სადერივაციო არხის შემდეგ მოწყობილია სადაწნეო აუზი უქმი წყალსაგდებით, საიდანაც წრიული კვეთის ორი სადაწნეო ლითონის მილსადენით წყალი მიეწოდება ძალოვან კვანძს.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია ჰესის განთავსების რაიონის კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, მდ. ხობისწყლის დახასიათება, გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ნიადაგები და ლანდშაფტი, ფლორა და ფაუნა, ზედაპირული წყლების ობიექტების დაბინძურება, რადიაციული ფონის შეფასება, ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა, მოყვანილია იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეეხება მხოლოდ ჰიდროსადგურის ოპერირების პროცესს. ანგარიშში განხილული არ არის ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებული მდგომარეობა, მიმდინარე სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათი ეფექტურობა;

სადერივაციო არხის პერიოდული გაწმენდა-მოწესრიგებისას გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, წყალსაცავის, დერივაციული არხის და გამყვანი ტრაქტის ნაპირებზე არსებული ეროზიული პროცესები და მათი განვითარების საწინააღმდეგო ანტიფილტრაციული ან ნაპირსამაგრი ღონისძიებების საჭიროება, წარმოების პროცესში გამოყენებული ზეთების ნარჩენების წარმოქმნის შესაძლებლობა და გათვალისწინებული სარეგენერაციო (ხელახალი გადამუშავების) ღონისძიებები.

ჰიდროლოგიურ დახასიათებაში არ არის მოყვანილი მდ. ხობისწყლის შიგაწლიური განაწილება, სანიტარული ხარჯის სიდიდე.

აღსანიშნავია რომ ჰესი ფუნქციონირებს 1967 წლიდან, ამიტომ აუცილებელი იყო ჩატარებულიყო ანალიზი გამოვლინდა თუ არა რაიმე უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სს „ზაჰესი“-ს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი შენიშვნების შესრულების პირობით.

III. პირობები

1. მოხდეს სადგურისა და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟო სისტემის მდგომარეობის შესწავლა და აუცილებლობის შემთხვევაში დამუშავდეს მისი რეაბილიტაციის ან მოწყობის, აგრეთვე ნავთობდამჭერი დანადგარის დამონტაჟების დეტალური პროექტი;
2. დამუშავდეს სათავე ნაგებობების ზემო ბიეფში მარცხენა ნაპირის გარეცხვისა და გადამუშავებისაგან დაცვის ღონისძიებების დეტალური პროექტი და მოხდეს მისი განხორციელება;
3. განხილული იქნეს ძალოვანი კვანძის ტერიტორიაზე მარტივი ტიპის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობა;
4. დამუშავდეს ჰიდროსადგურის ექსპლოატაციის პირობებში სადერივაციო სისტემის ნატანისაგან და ნაგავისაგან გაწმენდისა და ნარჩენების ადგილობრივ გარემოსდაცვით ორგანოებთან შეთანხმებულ ნაგავსაყრელებზე განთავსების ტექნიკური პირობები;
5. დამუშავდეს სათავე ნაგებობებზე თევზდამცავი და თევზამრიდი მოწყობილობების პროექტი და უზრუნველყოფილი იქნეს მისი განხორციელება. განხილული იქნეს თევზსავალის მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობა, ეფექტურობა და მიზანშეწონილობა;
6. დამუშავდეს ჰესის მონიტორინგის (თვითმონიტორინგის), გარემოსდაცვითი სამენჯემენტო და ნარჩენების მართვის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმები, რომელიც უნდა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ექვსი თვის ვადაში;
7. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის პროგრამის დამუშავება და შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან;
8. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მენჯემენტის გეგმის დამუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება როგორც ჰესის სარაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების, ისე ჰესის ექსპლუატაციის დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მენჯემენტის გეგმა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;

IV. დასკვნა

სს „ზაქესი“-ს მიერ წარმოდგენილი ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჭაჩნაია

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

